17/05/2020

სასულიერო პირებმა თბილისის ქუჩები აკურთხეს [ფოტო]

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა კურთხევით სასულიერო პირები ხატებითა და ნაკურთხი წყლის სხურებით შემოივლიან თბილისის ქუჩებს და დალოცავენ მოსახლეობას.

ავტოკოლონამ მსვლელობა სამების საკათედრო ტაძრიდან უკვე დაიწყო.

„პატრიარქის ლოცვა კურთხევით უკვე დიდი ხანია, ერთი კვირის განმავლობაში არის ღვთისმშობლის კვირეული და დღეს დედა ღვისმშობელს მადლობას ვუხდით, რომ ჩვენი ქვეყანა დაიფარა ამ მძიმე განსაცდელისგან და ჟამიანობისგან. ასევე დღეს ოჯახის სიწმინდის დღეა.

დღეს ვიცით, რომ არ შეიძლება ხალხის შეკრება და სასულიერო პირები, ჩვენ მივდივართ ოჯახებში, ქალაქი ეკურთხება, რომ რაც შეიძლება დაცული იყოს. დღესაც მადლობის ნიშნად ეკურთხება ქალაქი“, – განაცხადა მამა შალვა კეკელიამ.

ფოტო: 1tv.ge

1TV.GE
საშობლო
ოჯახიდან იწყება
ოჯახი

— 1tv.ge